



**ეკოსისტემურ და სახეობრივ დონეზე საქართველოს ტყეების  
ბიომრავალფეროვნების და დაცვითი ფუნქციების შენარჩუნება-აღდგენის  
ღონისძიებები.**

ლაშა დოლიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი,  
საქართველო,

E- mail: [lasha.dolidze65@yahoo.com](mailto:lasha.dolidze65@yahoo.com)

**ანოტაცია** - სტატიაში განხილულია ეკოსისტემურ და სახეობრივ დონეზე საქართველოს ტყეების ბიომრავალფეროვნების და დაცვითი ფუნქციების შენარჩუნების, აღდგენის კომპლექსური ღონისძიებები.

**საკვანძო სიტყვები:** ეკოსისტემა, სახეობა, ტყე, აღდგენა.

საქართველოს ტყეები რთული ბიოლოგიურ-ეკოლოგიური სისტემაა, რომელიც დიდ გავლენას ახდენს გარემოზე და განიხილებიან როგორც რთული, დინამიური, თვითრეგულირებადი სისტემები, რომელთა ძირითადი დაცვით-ეკოლოგიური ფუნქციები და მათში მიმდინარე პროცესები გავლენას ახდენს ბიოსფეროს ძირითადი შემადგენელი ელემენტების მდგრადობასა და დინამიკაზე.

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა - ეკოსისტემურ და სახეობრივ დონეზე საქართველოს ნაირგვარი შემადგენლობის, სიხშირის, აღნაგობის, ხნოვანების ტყის ეკოსისტემების ბიომრავალფეროვნების და დაცვითი ფუნქციების შენარჩუნების, აღდგენის კომპლექსური ღონისძიებების შემუშავება.

შესწავლილი იქნა შემდეგი საკითხები:

- ეკოსისტემურ და სახეობრივ დონეზე, საქართველოს ნაირგვარი სიხშირის, აღნაგობის, ხნოვანების ტყის ეკოსისტემების თანამედროვე მეტყვეობით-ეკოლოგიური მდგომარეობა გავრცელების ვერტიკალური სარტყელიანობის მიხედვით.

- აღმოსავლეთ საქართველოში: მუხის, წიფლის, ნაძვის და სოჭის სარტყელები, სუბალპური ზონა:

- დასავლეთ საქართველოში: წაბლის, წიფლის, წიწვოვანი სახეობების სარტყელები, სუბალპური ზონა.

დადგენილი იქნა: დაცვით - ეკოლოგიურად მდგრადი ტყის ეკოსისტემების ოპტიმალური

სტრუქტურები ვერტიკალური სარტყელების მიხედვით. საშუალო (0,5-0,7) და მაღალი (0,8 და მეტი) სიხშირის ტყის ეკოსისტემები გაცილებით უფრო კარგი წყალმარეგულირებელი და ნიადაგდაცვითი ფუნქციებით ხასიათდებიან, ვიდრე დაბალი სიხშირის (0,3 - 0,4) ტყის ეკოსისტემები. ამასთან, ტყის სიხშირის მატებასთან ერთად მნიშვნელოვნად უმჯობესდება ნიადაგის წყალმართვი თვისებები, რის შედეგადაც მცირდება როგორც თხიერი ისე მკვრივი ჩამონადენი. ამიტომ, დაბალი სიხშირის ტყის ეკოსისტემების დაცვით-ეკოლოგიური, წყალდაცვითი, წყალმარეგულირებელი და ნიადაგდაცვითი ფუნქციების გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია ტყის ეკოსისტემების სიხშირის ამაღლება არანაკლებ 0,6 - 0,7 -მდე, პირველ რიგში ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობით და ტყის ხელოვნურად გაშენებით.

უტყეო ადგილის ნიადაგებთან შედარებით საშუალო (0,5 -0,7) და მაღალი (0,8 და მეტი) სიხშირის ტყის ეკოსისტემების ნიადაგები მაღალი ფიზიკური და წყალმართვი თვისებებით ხასიათდებიან და სრულიად გამორიცხავენ ეროზიული პროცესებისა და უეცარი წყალდიდობების წარმოქმნას.

საქართველოს ტყის ეკოსისტემების დაცვით-ეკოლოგიური ფუნქციების შენარჩუნება-გამლიერება, აღდგენის, თხიერი ზედაპირული ჩამონადენის რეგულირების, ეროზიული პროცესების აღკვეთისათვის ტყის ეკოსისტემები აუცილებლად უნდა ხასიათდებოდნენ მაღალი ( 0,8 და მეტი) სიხშირით, შერეული შემადგენლობით, რთული აღნაგობით და ნაირხნოვანებით.

## THE PROCESS OF RESTORING GEORGIA'S BIODIVERSITY AND CONSERVATION FUNCTIONS AT THE ECOSYSTEM AND SPECIES LEVEL

**Lasha Dolidze** - Georgian Academy of Agricultural Sciences, Tbilisi, Georgia,

E-mail: [lasha.dolidze65@yahoo.com](mailto:lasha.dolidze65@yahoo.com)

### Summary

The paper focuses on the process of restoring Georgia's biodiversity and conservation functions at the ecosystem and species level. Optimal structure of ecologically sustainable forest ecosystems by vertical belts has been established. Complex forestry measures have been taken to maintain the stability of Georgia's ecosystems and restore degraded groves at the ecosystem and species level.

